თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8098235

ნომერი: AR11159915

თარიღი : 08.09.2026

გაცემის თარიღი : 29.09.2026

გაცნობის თარიღი : 29.09.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 50;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ხოჭოლავა პ/ნ 01029000588
- თბილისი, მოსკოვის გამზ, კორპ. 1, ბინა 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 14 აგვისტოს №8045335 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 08 სექტემბერს №AR11159915 განცხადებით მომართა ვახტანგ ხოჭოლავამ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის

14 აგვისტოს №8045335 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 07 მარტის №7403619 ბრძანებით შეთანხმდა №01.19.34.004.060 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2026 წლის 14 აგვისტოს №8045335 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2026 წლის 14 აგვისტოდან 2029 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით, აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია შპს გორდა (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406153763).
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2026 წლის 14 აგვისტოს №8045335 ბრძანებაში ცვლილების შეტანას კერძოდ, დამკვეთად ძველი მესაკუთრის - შპს გორდას (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406153763) ნაცვლად ახალი მესაკუთრის - შპს რასტა დეველოპმენტის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402144452) დაფიქსირებას.
დღევანდელი მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882026731665; მომზადების თარიღი: 17/08/2026 წ.), №01.19.34.004.060 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს - შპს რასტა დეველოპმენტი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402144452). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B25021806; თარიღი: 19/02/2025 წ.) ამონაწერის მიხედვით, შპს რასტა დეველოპმენტის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ვახტანგ ხოჭოლავა. შესაბამისად, დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობით, №01.19.34.004.060 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს - შპს რასტა დეველოპმენტი, რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და დამკვეთად დააფიქსიროს - შპს რასტა დეველოპმენტი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად,
ვბრძანებ:
1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 14 აგვისტოს №8045335 ბრძანებაში და დამკვეთად - შპს გორდას (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406153763) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს რასტა დეველოპმენტი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402144452).
2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 14 აგვისტოს №8045335 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 14 აგვისტოს №8045335 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.